აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 14

31 ოქტომბერი 2012 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ: ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე და თამარ ხოზრევანიძე.

არ ესწრებოდნენ: გია გარსევანიშვილი და ქეთევან ჯიქია.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ;

2. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ.

1. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ კომისიის მდივანი ქეთევან ჯიქია ვერ ახერხებს სხდომაზე დასწრებას და საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, აუცილებელია კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა.

აზრი გამოთქვეს: მალხაზ კალანდაძემ და ასლან ჩავლეიშვილმა.

მალხაზ კალანდაძემ და ასლან ჩავლეიშვილმა კომისიას შესთავაზეს, უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად თამარ ხოზრევანიძის არჩევა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად თამარ ხოზრევანიძის არჩევის შესახებ.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. არჩილ მიქელაძე - მომხრე
2. მალხაზ კალანდაძე - მომხრე
3. თამარ ხოზრევანიძე - მომხრე
4. ასლან ჩავლეიშვილი - მომხრე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად არჩეული იქნა თამარ ხოზრევანიძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის 22-ე პუნქტის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად არჩეული იქნეს თამარ ხოზრევანიძე.

2. ამ განკარგულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 1 ნოემბრამდე.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ უსკოს აპარატის ეკონომიკური სამსახურის უფროს ლევან სამნიძეს სთხოვა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის კომისიისათვის გაცნობა.

უსკოს აპარატის ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ლევან სამნიძემ კომისიის წევრებს გააცნო უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“

ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2013 წლის საბიუჯეტო განაცხადი დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივნის
მოვალეობის შემსრულებელი **თამარა ხოზრევანიძე**